მეტყევეობის უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს VII სხდომა

სხდომის ოქმი N7

თბილისი, 31 ოქტომბერი, 2024 წელი

მეტყევეობის უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომას ესწრებოდნენ მეტყევეობის უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს შემდეგი წევრები:

1. **ნათია იორდანიშვილი -** სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე, **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. **ნატო კობახიძე** - ბიოლოგიის დოქტორი, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, ლანდშაფტის მენეჯმენტის, საპარკო და სატყეო საქმის პროგრამის ხელმძღვანელი, სადოქტორო სკოლის კოორდინატორი, **საბჭოს მდივანი;**
3. **მერაბ მაჭავარიანი** - მეტყევეობის დოქტორი, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი, **საბჭოს წევრი;**
4. **ზვიად ტიგინაშვილი** - სოფლის მეურნეობის დოქტორი, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საბაკალავრო პროგრამის "სატყეო საქმე" ხელმძღვანელი, **საბჭოს წევრი;**
5. **ნანი გოგინაშვილი** - სოფლის მეურნეობის დოქტორი, სსიპ - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის აგროსატყეო კულტურების კვლევის სამსახურის უფროსი, **საბჭოს წევრი;**
6. ჯუმბერ აბულაძე - სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტოს უფროსი, **საბჭოს წევრი;**
7. **რუსლან დავითაძე** - აგრარულ მეცნიერებათა დოქტორი, სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე, **საბჭოს წევრი;**
8. **ლადო კახოიძე** - ა(ა)იპ თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის დირექტორი, **საბჭოს წევრი;**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში - ცენტრი):

1. **სოფიკო გაფრინდაშვილი** - კვალიფიკაცების განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 11:00 საათზე, დისტანციურად, პლატფორმა ZOOM-ის საშუალებით.

კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი, სოფიკო გაფრინდაშვილი მიესალმა საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ სხდომას საბჭოს 13 წევრიდან ესწრებოდა 8 წევრი, შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილი იყო დაეწყო შეხვედრა. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 11 ივნისის N476/ი ბრძანების, უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესის (შემდგომში 476/ი ბრძანება) მე-9 მუხლის 3 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მასში ესწრება/ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მონაწილეობას იღებს საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

ამავე წესის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, საბჭოს მდივანი ადგენს:

ა) საბჭოს ოქმს, რომელშიც აისახება გადაწყვეტილება პროექტის საჯარო განხილვაზე გატანის შესახებ;

ბ) საბჭოს (საჯარო განხილვის) ოქმს, რომელშიც აისახება საჯარო განხილვის პროცესში მონაწილე მხარეების მიერ გამოთქმული შენიშვნები, მოსაზრებები და შეფასებები;

გ) საბჭოს შემაჯამებელ ოქმს, რომელშიც აისახება დარგობრივ მახასიათებელზე მუშაობის პროცესი და ამ მ

უხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია იორდანიშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1) საბჭოს წევრების კომენტარების მოსმენა (არსებობის შემთხვევაში) სატყეო საქმის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის (შემდგომში - დარგობრივი მახასიათებელი) დოკუმენტის შესახებ;

2) კენჭისყრა დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტის ცენტრის დირექტორისთვის დასამტკიცებლად წარდგენის თაობაზე.

საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება და „VI დამატებითი ინფორმაციის“ თავში ასახა შემდეგი ინფორმაცია:

6.1 უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი ძალაში შევიდეს დამტკიცებისთანავე

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის № 69/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,სწავლის სფეროების კლასიფიკატორით" გათვალისწინებული სწავლის სფეროს „სატყეო საქმე“ შესაბამისი პროგრამა/პროგრამები მოცემულ დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოიყვანონ დოკუმენტის დამტკიცებიდან 1 წლის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი, პროგრამას/პროგრამებს 1 წელზე ნაკლებ ვადაში უწევს ცენტრში სააკრედიტაციო განაცხადის წარდგენა. თუკი, პროგრამას/პროგრამებს აღნიშნული ბრძანების ძალაში შესვლიდან 1 წელზე ნაკლებ ვადაში უწევს ცენტრში სააკრედიტაციო განაცხადის წარდგენა, სააკრედიტაციო განაცხადში მითითებული საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაში უნდა იყოს დამტკიცებულ სატყეო საქმის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელთან.

დაწესებულება ვალდებულია, ახალი საგანამანათლებლო პროგრამის/პროგრამების სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, სააკრედიტაციო განაცხადის წარდგენის დროს, პროგრამა/პროგრამები შესაბამისობაში იყოს დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებთან.

დაადგინეს:

საბჭომ კენჭი უყარა და ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით მიიღო გადაწყვეტილება სატყეო საქმის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მიმდინარე (31.10.2024, დანართი N1) ვერსიის ცენტრის დირექტორისთვის დასამტკიცებლად წარდგენასთან დაკავშირებით.

სატყეო საქმის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტი, VII სხდომის შედეგად, ჩამოყალიბდეს დანარათი N1-ის შესაბამისად.

სხდომა დასრულდა 11:30 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე:

ნათია იორდანიშვილი

საბჭოს მდივანი:

ნატო კობახიძე

განათლების ხარისხის
განვითარების ეროვნული ცენტრი

დანართი N1

სატყეო საქმის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი

უმაღლესი განათლების I და II საფეხურები

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI და VII დონეები

2024 წელი

I. შესავალი

სატყეო საქმის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი წარმოადგენს აკადემიური განათლების სტანდარტს, რომელიც სატყეო საქმის უმაღლესი განათლების I (ბაკალავრიატი) და II (მაგისტრატურა) საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამებისთვის განსაზღვრავს სწავლის შედეგების მინიმალურ მოთხოვნებს, მათ მისაღწევად საჭირო სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდებს, რესურსებს და სხვა არსებით მახასიათებლებს. დოკუმენტი ეფუძნება საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს, უმაღლესი განათლების ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს, მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს, შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე მოქმედ სტანდარტებს, საუკეთესო პრაქტიკასა და საკანონმდებლო მოთხოვნებს;

დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული სწავლის შედეგების მინიმალური მოთხოვნების დაკმაყოფილება სავალდებულოა სატყეო საქმის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი ყველა დაწესებულებისთვის. თუმცა, ინოვაციების, მრავალფეროვნებისა და მოქნილობის უზრუნველყოფის მიზნით, საგანმანათლებლო დაწესებულებები თავად განსაზღვრავენ საგანმანათლებლო პროგრამების დეტალურ შინაარსსა და მათი განხორციელების კონკრეტულ გზებს, მათ შორის - დამატებით სწავლის შედეგებს.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებელი შედგება მინიმალური მოთხოვნებისა და დებულებებისგან, რომელთა დაცვისა და შესრულების ვალდებულება აქვს ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, სადაც ხორციელდება ან დაგეგმილია განხორციელდეს სატყეო საქმის მიმართულებით საბაკალვრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები. პროგრამების შინაარსსა და ფორმას, ასევე სწავლება-სწავლის და შეფასების მეთოდებს განსაზღვრავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და მის ფარგლებში განსაზღვრული ცალკეული რეგულაციების შესაბამისად.

დარგობრივი მახასიათებლის მიზანია, ხელი შეუწყოს ეროვნული საჭიროებებისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სატყეო საქმის უმაღლესი განათლების პროგრამების შემუშავებას, სწავლების, სწავლისა და შეფასების თანამედროვე მეთოდოლოგიის დანერგვას, კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის საერთაშორისო დონეზე აღიარებას, მობილობას და ისეთი კომპეტენციების ჩამოყალიბებას, რომელთა საფუძველზე კურსდამთავრებული შეძლებს უმაღლესი განათლების შემდეგ

საფეხურზე სწავლის გაგრძელებას, პროფესიულ განვითარებას, შრომის ბაზარზე თავისუფლად შესვლას და კარიერულ წინსვლას.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლის გაცნობა რეკომენდებულია:

- სატყეო საქმის მიმართულებით საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება-განვითარებასა და განხორციელებაში ჩართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის;
- აკრედიტაციის, ავტორიზაციისა და აპელაციის საბჭოს წევრებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- პირთათვის, რომელთაც სურთ სატყეო საქმის სწავლის სფეროს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა;
- სტუდენტებისთვის, რომელთაც აინტერესებთ რა ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს შეიძენენ სატყეო საქმის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დასრულების შემდეგ;
- დამსაქმებლებისათვის, რომლებთაც სურთ ჰქონდეთ ინფორმაცია სატყეო საქმის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კომპეტენციების შესახებ.

დარგის ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტებია:

- „საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფცია";
- საქართველოს ტყის კოდექსი;
- საქართველოს ტყის კოდექსიდან გამომდინარე კანონქვემდებარე აქტები;
- საქართველოს კანონი დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ;
- საქართველოს კანონის დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ გამომდინარე კანონქვემდებარე აქტები.

ინგლისურ ენაზე დარგობრივი მახასიათებლის დასახელებაა Subject Benchmark Statement of Forestry.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლის მოქმედების ვადად განსაზღვრულია 7 წელი.

II. სწავლის სფეროს აღწერა

სატყეო საქმე ეფუძნება გამოყენებით მეცნიერებას მეტყევეობის შესახებ რომლის შესწავლის ობიექტი ტყეა, რაც თავის მხრივ გეოგრაფიული ლანდშაფტის ძირითადი ელემენტი და ბიოსფეროს შემადგენელი არსებითი კომპონენტია. სატყეო საქმე მოიცავს ყველა მიმართულებასა და ღონისძიებას, რომლებიც დაკავშირებულია ტყეების და ხელოვნური ნარგავების მართვასთან, უწყვეტ სარგებლობასთან, დაცვასთან, აღდგენასთან, გაშენებასთან, კონსერვაციასთან, რაოდენობრივი, ხარისხობრივი მაჩვენებლების შენარჩუნება-გაუმჯობესებასთან და ამავდროულად უზრუნველყოფს ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური სარგებლის მიღებას. შესაბამისად, თანამედროვე მეტყევეობა ემყარება რიგ ფუნდამენტურ და გამოყენებით საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს: ტყეთმცოდნეობა, ბოტანიკა, დენდროლოგია, მცენარეთა ფიზიოლოგია, ნიადაგმცოდნეობა, ეკოლოგია და სხვა. ასევე, უკავშირდება სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური მიმართულების მეცნიერებებს.

სატყეო განათლების აუცილებელი პირობაა, მოამზადოს სპეციალისტები იმ რთული გამოწვევების გადასაჭრელად, რომელთა წინაშეც დგას ტყეები მთელ მსოფლიოში. სამეცნიერო ცოდნის, პრაქტიკული უნარებისა და სოციალურ-ეკონომიკური მოსაზრებების ინტეგრირებით სატყეო განათლება ხელს უწყობს ტყის ეკოსისტემების შესწავლას და სტუდენტებისათვის ამ რესურსების მდგრადი მართვისა და შენარჩუნების საჭირო მეთოდების მიწოდებას.

საბაკალავრო პროგრამის მიზანია მომზადდეს სატყეო საქმის ბაკალავრი, რომელსაც ექნება სატყეო საქმის სფეროს ფართო ცოდნა, ეცოდინება ტყის მოვლა-დაცვის, აღდგენა -განახლების, მდგრადი ტყითსარგებლობის პრინციპები. ეცოდინება დაცული ტერიტორიების დაგეგმვის და მართვის მექანიზმები. სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს მაგისტრი, რომელსაც ექნება სატყეო სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა; ეცოდინება ტყის მოვლა-დაცვის, აღდგენა-განახლების და ტყითსარგებლობის პრინციპები; შეეძლება ტყის რესურსების მდგრადი მართვის, რაციონალური ბუნებათსარგებლობისა და კვლავწარმოებისთვის, ასევე ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისათვის ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავება და ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზების გაცნობიერება. სატყეო საქმის მიმართულებით საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შეძენილი კომპეტენციები კურსდამთავრებულს საშუალებას აძლევს, სწავლა გააგრძელოს შემდგომ საფეხურზე - მაგისტრატურაში/დოქტორანტურაში.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული სწავლის სფეროების კლასიფიკატორის თანახმად, წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლით დაფარული სწავლის სფეროს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შესაძლებელია შემდეგი კვალიფიკაციების მინიჭება:

1) სატყეო საქმის ბაკალავრი/მაგისტრი Bachelor/Master of Forestry;
2) მეცნიერების ბაკალავრი/მაგისტრი სატყეო საქმეში Bachelor/Master of Science (BSc/MSc) in Forestry.

III. სწავლის შედეგები

სატყეო საქმის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიმართულია იმ ცოდნის, უნარების, ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის შეძენა/განვითარებისკენ, რომლებიც კურსდამთავრებულს შესაბამის საფეხურზე (ბაკალავრიატი ან მაგისტრატურა) სწავლის დასრულებისას მოეთხოვება. დარგობრივ მახასიათებელში მოცემული სწავლის შედეგები წარმოადგენს მინიმალურ სტანდარტს, რომლის დაცვაც ევალებათ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს; უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და დარგის თანამედროვე მიღწევების/გამოცდილებების გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამით დამატებით, სხვა შედეგებიც განსაზღვროს. ასევე, უფლებამოსილია, სწავლის შედეგები სამივე კომპონენტის (ცოდნა და გაცნობიერება; უნარები; პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) გათვალისწინებით, სამ კატეგორიად ჩაშლით ან ჩაშლის გარეშე ჩამოაყალიბოს.

3.1. სატყეო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები

სატყეო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული:

- ახდენს ტყის მცენარეთა იდენტიფიცირებას და კლასიფიცირებას მცენარეთა სისტემატიკის მიხედვით;
- განიხილავს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და მართვის მექანიზმებს;

- განიხილავს ურბანული მეტყევეობის დაგეგმვის, ხელოვნური ნარგავების და პლანტაციური მეურნეობების გაშენებისა და მართვის პრინციპებს;
- მიმოიხილავს ტყის მოვლა-დაცვის (ტყის მავნებელ-დაავადებები, ტყის ხანძრები),
  აღდგენა-გაშენების, უწყვეტი და მრავალმიზნობრივი ტყითსარგებლობის პრინციპებს;
- მონაწილეობს ტყის აღდგენისა და გაშენების ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში;
- აკვირდება ტყის მავნებელ-დაავადებებს და განსაზღვრავს ბრძოლის შესაბამის ღონისძიებებს;
- მონაწილეობს ხე–ტყის დამზადების ტექნოლოგიური სქემების შემუშავებაში და არჩევს ხე–ტყის დამზადების წარმოებისთვის თანამედროვე აღჭურვილობებს და მანქანა-მოწყობილობებს;
- შესრულებული სატყეო-სატაქსაციო სამუშაოების საფუძველზე, აღრიცხავს და აანალიზებს შესაბამის მონაცემებს და აყალიბებს დასკვნებს.;
- მონაწილეობს ტყის მართვის გეგმის შემუშავებისა და განხორცილების პროცესში;
- ასრულებს კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტს/ნაშრომს წინასწარგანსაზღვრული მითითებების შესაბამისად.
- აცნობიერებს ტყის ეკოსისტემების გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური ფუნქციების მნიშვნელობას;
- ხელს უწყობს საკუთარი და სხვების უწყვეტი პროფესიული განვითარების დაგეგმვას და განხორციელებას.

3.2. სატყეო საქმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები

სატყეო საქმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული:

- მიმოიხილავს ტყეებზე საკუთრების, სამართლებრივ, პოლიტიკურ და ინსტიტუციური მოწყობის სხვადასხვა ფორმებს, პან-ევროპული თანამშრომლობის თანამედროვე მოთხოვნებს;
- დეტალურად ახასიათებს ტყის მდგრადი მართვის პრინციპებს, ინდიკატორებს და კრიტერიუმებს;
- მიმოიხილავს სფეროს ძირითად საკანონმდებლო აქტებს და მარეგულირებელ დოკუმენტებს;

- მოიძიებს და აანალიზებს ტყის მდგრად მართვასთან დაკავშირებულ, საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებას და ეროვნულ დონეზე არსებულ საჭიროებებთან მიმართებით ამზადებს შესაბამის რეკომენდაციებს;
- დამოუკიდებლად ახორციელებს კვლევებს უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;
- ტყის მდგრადი მართვის დაგეგმვის პრინციპების გათვალისწინებით გეგმავს და ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს;
- თანამედროვე საველე კვლევის ინსტრუმენტებისა და გეოინფორმაციული სისტემების (GIS) გამოყენებით აღრიცხავს და ამუშავებს მონაცემებს, ქმნის მონაცემთა ბაზებს და ამზადებს შესაბამის დოკუმენტებს;
- აანალიზებს ტყის ეკოსისტემებში მიმდინარე პროცესებს, აფასებს ბუნებრივი და ანთოპოგენური ზემოქმედების შედეგად მიმდინარე ცვლილებებს და ახდენს რისკების პროგნოზირებას;
- თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების საფუძველზე, სატყეო საქმის მიმართულებით სტრატეგიულად გეგმავს როგორც საკუთარ ასევე სხვების სწავლასა და საქმიანობას.
- ახორციელებს სწავლასა და საქმიანობას როგორც ინდივიდუალური, ასევე გუნდური მუშაობის პრინციპების გამოყენებით;

IV. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული სწავლის სფეროების კლასიფიკატორის თანახმად, სატყეო საქმეში სწავლის სფეროში შესაძლებელია მოცემულ თავში აღნიშული კვალიფიკაციების მინიჭება.

კვალიფიკაციის ფორმულირება განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსიდან, სტრუქტურიდან და მიზნებიდან გამომდინარე.

თუ სატყეო საქმის სწავლის სფეროს შესაბამისი საბაკალავრო ან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ძირითადათ ორიენტირებულია თეორიულ შესწავლაზე და პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებაზე, მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება შესაძლებელია იყოს შემდეგნაირი:

1) სატყეო საქმის ბაკალავრი
   Bachelor of Forestry
   სატყეო საქმის მაგისტრი
   Master of Forestry

თუ სატყეო საქმის სწავლის სფეროს შესაბამისი მე-6 და მე-7 დონეების საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი მიზანია სამეცნიერო-კვლევითი უნარების გამომუშავება, ამ შემთხვევაში კვალიფიკაციის ფორმულირება შესაძლებელია ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმით:

2) მეცნიერების ბაკალავრი სატყეო საქმეში
   Bachelor of Science (BSc) in Forestry
   მეცნიერების მაგისტრი სატყეო საქმეში
   Master of Science (BSc) in Forestry

V. სწავლება, სწავლა და შეფასება

წინამდებარე დარგობრივ მახასიათებელში მოცემული სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდები ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს და ეფუძნება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს.

სწავლის, სწავლებისა და შეფასების მეთოდები ხელს უნდა უწყობდეს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, სასწავლო მასალის ათვისებასა და აგრეთვე სტუდენტის ტრანსფერული უნარების განვითარებას, სატყეო საქმის მიმართულებით თანამედროვე ცოდნით, თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების მქონე სპეციალისტის ჩამოყალიბებას. შეფასების მიდგომები და კრიტერიუმები სტუდენტის სწავლის შედეგებისა და დარგობრივ მახასიათებელთან ზოგადი შესაბამისობის დემონსტრირების საშუალებას უნდა იძლეოდეს, უნდა იყოს მრავალკომპონენტიანი და უზრუნველყოფდეს თითოეული კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას.

სატყეო საქმის სფეროს სწავლების მიზანია თანამედროვე თეორიული და პრაქტიკული ცოდნით და ასევე თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების უნარ-ჩვევებით აღჭურვილი სპეციალისტის ჩამოყალიბება. სატყეო სფეროს საბაკალავრო/სამაგისტრო

საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად, ასევე, სწავლის შედეგების შეფასების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია შერჩეულ და გამოყენებულ იქნეს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისი სწავლების და სწავლის შეფასების მეთოდები. სტუდენტთა შეფასება უნდა იყოს მრავალკომპონენტიანი და უზრუნველყოფდეს თითოეული კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას. სწავლება-სწავლის მეთოდების შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იყოს სასწავლო საფეხური. მაგისტრატურის საფეხურზე გადასვლისას, უფრო მეტად უნდა იყოს გამოყენებული კვლევაზე დაფუძნებული სწავლების მიდგომები, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტს გამოიმუშავოს კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვის, განხორციელებისა და გაანალიზების უნარი.

5.1 სწავლებისა და სწავლის მეთოდები

ქვემოთ ჩამოთვლილი მეთოდები სწავლება-სწავლის და შეფასების ყველაზე გავრცელებული ფორმებია, თუმცა, სასწავლო პროგრამით შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს მხოლოდ ზოგიერთი მათგანი და აგრეთვე სხვა მეთოდები. უსდ-ები მუდმივად უნდა ზრუნავდნენ სწავლება-სწავლის და შეფასების მეთოდების გადახედვა-განახლებაზე, სწავლებისა და შეფასების საუკეთესო პრაქტიკისა და სატყეო საქმის სფეროსთან დაკავშირებული კომპეტენციების განვითარების მხრივ არსებული მიღწევების გაზიარება/დანერგვის გზით.

საბაკალავრო საფეხურიდან სამაგისტრო საფეხურზე გადასვლის დროს გამოყენებული უნდა იყოს სამეცნიერო კვლევაზე დაფუძნებული სწავლების მიდგომები, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტს გამოიმუშავოს კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და განხორციელების უნარი.

პროგრამის შინაარსიდან და მიზნებიდან გამომდინარე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია ქვემოთ ჩამოთვლილთაგან შერჩეული ან/და სხვა მეთოდები გამოიყენოს. ასევე, დასაშვებია გამოყენებული იყოს მეთოდები, რომელიც არ არის მითითებული „სწავლება-სწავლის მეთოდების'' პუნქტში, მაგრამ, აღნიშნული იქნება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლოა სასწავლო პროცესი წარიმართოს როგორც სააუდიტორიო სივრცეში, ასევე პრაქტიკულ ობიექტებზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელმა დაწესებულებებმა შესაძლებელია სწავლების პროცესში გამოიყენონ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან შერჩეული ან/და სხვა მეთოდები:

- ლექცია;
- სემინარი
- ლაბორატორიული სამუშაოები;
- პრაქტიკული მეცადინეობა;
- დამოუკიდებელი მეცადინეობა;
- სასწავლო პრაქტიკა;

სატყეო საქმის სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს სწავლება-სწავლის სტუდენტზე ორიენტირებული გავრცელებული მეთოდები, როგორიცაა ლექციები და სემინარები, სტრუქტურირებული პრეზენტაციები, ექსპერიმენტები, ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, შემთხვევის შესწავლა, პროექტზე დაფუძნებული სწავლება, კონსულტაციები, დისკუსია/დებატები, ელექტრონული სწავლება და სხვა.

5.2 შეფასების მეთოდები

საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული შეფასების ფორმები (შუალედური და დასკვნითი შეფასება) შესაძლებელია მოიცავდეს შეფასების კომპონენტებს, რომლებიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს.

აკადემიური თავისუფლების ფარგლებში, თითოეული სასწავლო კურსის განმახორციელებელი თავად ირჩევს შეფასების მეთოდებს, განსაზღვრავს, ნათლად და მკაფიოდ აყალიბებს შეფასების კრიტერიუმებს და მათ შესაბამის ქულებს, რაც გაწერილი უნდა იყოს შესაბამისი კურსის სილაბუსში. ამავე დროს, ლექტორს უნდა გააჩნდეს მყარი არგუმენტები შერჩეული შეფასების მეთოდების და კრიტერიუმების შესახებ. შეფასება ხელს უწყობს სტუდენტის მოტივაციის ზრდას და უვითარებს სწავლის უნარს.

VI. დამატებითი ინფორმაცია

6.1 უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი ძალაში შევიდეს დამტკიცებისთანავე

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის № 69/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,სწავლის სფეროების კლასიფიკატორით" გათვალისწინებული სწავლის სფეროს „სატყეო საქმე“ შესაბამისი პროგრამა/პროგრამები მოცემულ დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოიყვანონ დოკუმენტის დამტკიცებიდან 1 წლის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი, პროგრამას/პროგრამებს 1 წელზე ნაკლებ ვადაში უწევს ცენტრში სააკრედიტაციო განაცხადის წარდგენა. თუკი, პროგრამას/პროგრამებს აღნიშნული ბრძანების ძალაში შესვლიდან 1 წელზე ნაკლებ ვადაში უწევს ცენტრში სააკრედიტაციო განაცხადის წარდგენა, სააკრედიტაციო განაცხადში მითითებული საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაში უნდა იყოს დამტკიცებულ სატყეო საქმის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელთან.

დაწესებულება ვალდებულია, ახალი საგანამანათლებლო პროგრამის/პროგრამების სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, სააკრედიტაციო განაცხადის წარდგენის დროს, პროგრამა/პროგრამები შესაბამისობაში იყოს დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებთან.

6.2. აკადემიური პერსონალი

სატყეო საქმის საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამების განხორციელება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესაძლებელია შესაბამისი რაოდენობისა და კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალის და მოწვეული სპეციალისტების

ჩართულობით, რომლებიც სათანადო გამოცდილებითა და კომპეტენციებით უზრუნველყოფენ საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამების სტაბილურ, ეფექტიან ფუნქციონირებას და განვითარებას, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

6.3. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება აუცილებელია ფლობდეს შესაბამისი მატერიალური რესურსით და ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილ სასწავლო ფართს და ლაბორატორიებს ან/და უზრუნველყოფდეს ზემოაღნიშნული რესურსებისა და ტექნიკური საშუალებების ხელმისაწვდომობას შესაბამის ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულების/მემორანდუმის ფარგლებში, რაც აკადემიურ, მოწვეულ პერსონალსა და სტუდენტებს შეუქმნის საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელ პირობებს.

6.4 დასაქმების შესაძლო სფერო/სფეროები

ბაკალავრის და მაგისტრის ხარისხის მიღების შემთხვევაში კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროა ყველა ის მიმართულება, რომელიც დაკავშირებულია სატყეო საქმიანობასთან, მიწათსარგებლობასთან, ბუნებათსარგებლობასთან, გარემოს დაცვასა და ბიომრავალფეროვნების კონსერვაციასთან, მათ შორის:

1. **საჯარო სექტორი** - ტყის მართვაში ჩართული სახელმწიფო სტრუქტურები, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო, სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო, აჭარის სატყეო სააგენტო, ქ. თბილისის მერია, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და სხვა.
2. **კერძო სექტორი** - ხე-ტყის დამზადების ლიცენზიის მფლობელი კომპანიები, სატყეო-სამეურნეო ღონისძიებებთან - ტყის აღრიცხვა-ინვენტარიზაცია, ტყითსარგებლობა, ტყის მოვლა-აღდგენა მომსახურების მომწოდებელი კომპანიები, ხე-ტყის გადამამუშავებელი საწარმოები და სხვა.
3. **არასამთავრობო** სექტორი - გარემოსდაცვითი ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები და სხვა.
4. **სამეცნიერო სექტორი** - კვლევითი ინსტიტუტები და ლაბორატორიები, საგანმანათლებლო დაწესებულებები.

VII. დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

7.1. დოკუმენტის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

სატყეო საქმის უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს წევრები

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/დაწესებულება	თანამდებობა
1	**ნათია იორდანიშვილი**	სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტო	სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე - საბჭოს თავმჯდომარე
2	**ნატო კობახიძე**	ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	ბიოლოგიის დოქტორი, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, ლანდშაფტის მენეჯმენტის, საპარკო და სატყეო

			საქმის პროგრამის ხელმძღვანელი, სადოქტორო სკოლის კოორდინატორი - საბჭოს მდივანი
3	**თეო ურუშაძე**	ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	ბიოლოგიის დოქტორი, სოფლის მეურნეობის დოქტორი, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრონომიისა და ლანდშაფტის მენეჯმენტის სკოლის დეკანი, პროფესორი, ჰ.ფერის სახელობის ეკოლოგიური სოფლის მეურნეობის და ბუნების დაცვის ლაბორატორიის გამგე
4	**ზვიად ტიგინაშვილი**	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სოფლის მეურნეობის დოქტორი, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,

			საბაკალავრო პროგრამის "სატყეო საქმე" ხელმძღვანელი
5	**მერაბ მაჭავარიანი**	სსიპ - სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	მეტყევეობის დოქტორი, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი
6	**ზაზა ნონაშვილი**	სსიპ - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის ტყის პოლიტიკის სამმართველოს პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
7	**ნათელა ბლიაძე**	სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი	სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის გარემოს საინფორმაციო

			სამსახურის მთავარი სპეციალისტი
8	**ნატო სულთანიშვილი**	სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტო	ბიოლოგიის დოქტორი, სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს დაგეგმვისა და განვითარების სამსახურის უფროსი
9	**ნანი გოგინაშვილი**	სსიპ - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი	სოფლის მეურნეობის დოქტორი, სსიპ - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის აგროსატყეო კულტურების კვლევის სამსახურის უფროსი
10	**ჯუმბერ აბულაძე**	სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტო	სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტოს უფროსი
11	**რუსლან დავითაძე**	სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტო	აგრარულ მეცნიერებათა დოქტორი, სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე

12	**რეზო ვასაძე**	სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტო	სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტოს ტყის მავნებელ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის უფროსი. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილების ეროვნული კოორდინატორების ჯგუფის წევრი და აჭარის სამეცნიერო განყოფილების კოორდინატორი.
13	**ლადო კახოიძე**	ა(ა)იპ - თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია	ა(ა)იპ თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის დირექტორი